

## საქართველოს კანონი

### „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2001 წელი, №29, მუხ. 115) 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში, დასაქმების კერძო სააგენტო ვალდებულია სამუშაოს მაძიებელი უზრუნველყოს ობიექტური, სუსტი და ამომწურავი ინფორმაციით:

ა) იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებით განყრების მანძილზე სთავაზობს დასაქმების კერძო სააგენტო;

ბ) მოხალისეობითი საშიშროების შესახებ, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად;

გ) იმ სასტუმროს ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი), სადაც სამუშაოს მაძიებელი უნდა განერდეს და რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ხელშეკრულებით;

დ) მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სამუშაოს მაძიებლის უფლებების დაცვასა და მის უსაფრთხოებას;

ე) საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ.“

### მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი